

ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილობა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ ბს-362-322-კ-04

28 ოქტომბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემაღვენლობა:

ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
მერაბ ტურავა,
ბესიკ კობერიძე (მომხსენებელი),
მაია ვაჩაძე,
მურმან ისაევი,
ნანა კლარჯეიშვილი,
ნინო გვენეტაძე,
ნინო ქადაგიძე,
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი – გ. ილინა

კასატორი (მოსარჩელე) – სს „.....“

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) – რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექცია (ამჟამად რუსთავის საგადასახადო ინსპექცია)

მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება

საკასაციო საჩივრის თხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ნაწილის ბათილად ცნობა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2002 წლის 19 მარტს სს „.....მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ ჩაატარა შემოწმება და 2001 წლის 28 სექტემბერს დაიწერა აქტი სს „.....-ის“ ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შემოწმების შედეგების მიხედვით. მოსარჩელე არ დაეთანხმა აღნიშნულ აქტს დღგ-ის ნაწილში დარიცხული ძირითადი თანხის – 18053 ლარისა და აღნიშნულ თანხაზე დარიცხული ჯარიმის – 9027 ლარის ნაწილში.

მოსარჩელის განმარტებით, რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორებმა ისარგებლეს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წერილში მოყვანილი მითითებით, რომლის მიხედვითაც, თითქოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებდა იმ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილ დღგ-ზე, რომელიც გამოიყენებოდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებული საქონლის (სამუშაო, მომსახურება) საწარმოებლად. საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, დღგ-გან თავისუფლებოდა უძრავი ქონება. შესაბამისად, უძრავი ქონების მშენებლობისთვის შეძენილ საქონელზე, ასევე მასთან დაკავშირებულ სამუშაოზე გადახდილი დღგ ჩათვლას არ ექვემდებარებოდა. ამიტომ, მოსარჩელეს დაარიცხეს დღგ-ის ძირითადი თანხა 18053 ლარი და საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმა – 9027 ლარი.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის აქტი არ შეესაბამებოდა საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, რადგან ამავე კოდექსის 29-ე მუხლის მე-13-15 ნაწილებით განსაზღვრული ტერმინები „საქონელი“, „საქონლის იმპორტი“ და „საქონლის მიწოდება“ იყო არაიდენტური ცნებები. ამასთან, აღნიშნული კოდექსის არც ერთი მუხლით არ განისაზღვრებოდა დღგ-ით დაბეგვისგან გათავისუფლებული საქონელი (სამუშაო, მომსახურება), ვინაიდან არ შეიძლებოდა დაბეგვისგან გათავისუფლებულიყო ის, რაც არ წარმოადგენდა დაბეგვის ობიექტს. გარდა ამისა, თუ საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მიიჩნეოდა, რომ მასში მოყვანილი დაბეგვისგან გათავისუფლების ცნება გამოიყენებოდა უშუალოდ საქონლის მიმართ, მაშინ გაურკვეველი იყო, რომელ საქონელს შეეხებოდა ასეთი გათავისუფლება – საქონელს, რომელიც დაბეგვისგან გათავისუფლებული იყო მიწოდებისას, თუ – იმპორტისას, თუ – ორივე პირობის არსებობისას. მოსარჩელის მტკიცებით, თუ არ იქნებოდა მითითებული კონკრეტული პირობა, მაშინ წესით ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო დაბეგვისგან გათავისუფლება ყველა ეტაპზე, მათ შორის, მიწოდებისა და იმპორტის დროსაც, ოღონდ არა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ეხებოდა უძრავ ქონებას, რადგან საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის მიხედვითაც, დაბეგვისგან გათავისუფლება ეხებოდა მხოლოდ მის მიწოდებას, განსხვავებით სხვა საქონლისაგან, კერძოდ, აღნიშნული ნაწილის „პ“ პუნქტში მოყვანილი სამეცნიერო, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურისგან, რომლებიც გათავისუფლებული იყო დაბეგვისგან, როგორც მიწოდებისა და იმპორტის, ასევე დაბეჭდვის ეტაპზეც.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი არ წარმოადგენდა დღგ-ის ჩათვლის ამკრძალველ დებულებას და ამდენად, ერთადერთ შეზღუდვად შეძენილ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილი დღგ-ის ჩათვლისთვის რჩებოდა აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ დღგ-ის გადამხდელს ჰქონდა დასაბეგრი და ამ კოდექსის თანახმად, დღგ-დან გათავისუფლებული ოპერაციები, მაშინ დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გამოიყენებოდა მხოლოდ დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენებული საქონლის (სამუშაო, მომსახურება) ღირებულების შესაბამისად, რაზედაც მიუთითებდა საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილიც. მოსარჩელის მტკიცებით, დღგ-ის ჩათვლა უნდა წარმოებულყო იმ

დასაბეგრი და გათავისუფლებული ოპერაციების პროპორციულად, რომლებშიც ფიგურირებდა დასაბეგრი ოპერაციებში გამოყენებული საქონელი (სამუშაო, მომსახურება), ხოლო თუ გადასახადის გადამხდელს არ გააჩნდა დღგ-გან გათავისუფლებული ოპერაციები, როგორც სს „.....-ის“ შემთხვევაში (დღგ-ის ნულოვანი განაკვეთი), მას სრული უფლება ჰქონდა, მიეღო ჩათვლა შეძენილ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილ დღგ-ზე, თუკი ეს საქონელი (სამუშაო, მომსახურება) გადასახადის გადამხდელის მიერ, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამოიყენებოდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სასარჩელო განცხადებაში მის მიერ მოყვანილი გარემოებების გამო, რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2001 წლის 28 სექტემბრის შემოწმების აქტით, დღგ-ის ძირითადი თანხის – 18053 ლარისა და საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ თანხაზე ჯარიმის – 9027 ლარის დარიცხვა იყო უკანონო და ეწინააღმდეგებოდა საგადასახადო კოდექსის დებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, ითხოვა რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2001 წლის 28 სექტემბრის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა ზემოაღნიშნული თანხისა და ჯარიმის დაკისრების ნაწილში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 16 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა სს „.....-ის“ წარმომადგენელ დ. ქ.-ლის შუამდგომლობა და მოცემულ საქმეზე თანამოპასუხედ ჩაება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე სს „.....-ს“ უარი ეთქვა სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება სს „.....-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის შუამდგომლობა და მოცემულ საქმეზე მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი. სს „.....-მა“ იმავე სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გათავისუფლება მოპასუხის მოვალეობისგან, რაც სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „.....-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „.....-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „.....-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

კასატორი, სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულ საფუძვლებთან ერთად, დამატებით მიუთითებს საკასაციო საჩივრის შემდეგ საფუძვლებზე:

1. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, ანუ გადაწყვეტილება არ არის საკმაოდ დასაბუთებული და მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ, დარღვეულია აღნიშნული კოდექსის 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ანუ არასწორადაა განმარტებული კანონი – საგადასახადო კოდექსის 114-ე

მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი იმ რედაქციით, რომლითაც იგი მოქმედებდა რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმების ჩატარებისა და აქტის შედგენის დროს, ანუ 2001 წლის 28 სექტემბერს, რადგან დღგ-გან გათავისუფლებული საქონელი, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო აღნიშნულ მუხლში, არ არსებობდა, რამეთუ დღგ-გან თავისუფლებოდა არა კონკრეტული საქონელი, არამედ – კონკრეტული ოპერაცია, ანუ საქონლის მიწოდება ან იმპორტი, ხოლო ხსენებული კოდექსის 101-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღგ-გან თავისუფლებოდა უძრავი ქონების მიწოდება, გარდა ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობისა;

2. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტიც, როდესაც მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ბლანკეტური ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ დღგ-ის ჩათვლა არ წარმოებს იმ საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) გადახდილ დღგ-ზე, რომელიც გამოიყენება ამავე კოდექსის III კარის შესაბამისად გათავისუფლებული საქონლის საწარმოებლად, მიუხედავად იმისა, დამზადებულია იგი საკუთარი მოხმარებისთვის თუ მისაწოდებლად. სს „.....“; რომელმაც აწარმოვა კუთვნილი უძრავი ქონების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, აღნიშნულ ნაწილში წარმოადგენდა დღგ-გან გათავისუფლებული საქონლის მწარმოებელს, მიუხედავად მიწოდებისა. სააპელაციო სასამართლომ, როდესაც მიუთითა საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მოყვანილი ნორმის ბლანკეტურობაზე, მან გადაწყვეტილების დასაბუთებაში ვერ მოიყვანა სხვა ნორმა, რომლითაც აღნიშნული ნორმის ბლანკეტურობას დაასაბუთებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი;

3. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც (გასაჩივრებული აქტის შედგენის დროს მოქმედი რედაქციით), დღგ-გან გათავისუფლებული იყო უძრავი ქონების მიწოდება, გარდა ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობისა. ისეთი ოპერაცია, როგორცაა მიწოდება, საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, იყო საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა, რასაც სს „.....-ის“ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან განხორციელდა შენობა-ნაგებობის მხოლოდ რეკონსტრუქცია, რაც დასტურდებოდა გასაჩივრებული შემოწმების აქტით. სწორედ უძრავი ქონების მიწოდება, ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემა წარმოადგენდა ერთადერთ საფუძველს უძრავი ქონების მიწოდების ოპერაციის დღგ-გან გათავისუფლებისთვის.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა, მესამე პირის განმარტებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო წესით საქმის განმხილველი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ ჩატარა შემოწმება და 2001 წლის 28 სექტემბერს შედგა აქტი სს „.....-ის“ ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შემოწმების შედეგების მიხედვით, რომლის თანახმადაც, სს „.....-ის“ დღგ-ის ნაწილში დაერიცხა ძირითადი თანხა – 18053 ლარი და აღნიშნულ თანხაზე ჯარიმა – 9027 ლარი იმ საფუძველით, რომ 2000 წლის დეკემბერში ჩათვლილი ჰქონდა გადახდილი დღგ – 18053 ლარი საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონების – შენობების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე წარმოებულ სამუშაოებზე, რითაც გაზრდილი იყო ამ ქონების ღირებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ანუ არასწორად განმარტა კანონი – საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი იმ რედაქციით, რომლითაც იგი მოქმედებდა რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმების ჩატარებისა და აქტის შედგენის დროს, ანუ 2001 წლის 28 სექტემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ანუ არსებობს კასაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დღგ-ის ჩათვლა არ წარმოებდა იმ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილ დღგ-ზე, რომელიც გამოიყენებოდა ამავე კოდექსის III კარის შესაბამისად გათავისუფლებული საქონლის საწარმოებლად. სს „.....“, რომელმაც აწარმოვა კუთვნილი უძრავი ქონების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, აღნიშნულ ნაწილში წარმოადგენდა დღგ-გან გათავისუფლებული საქონლის მწარმოებელს, მიუხედავად მიწოდებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს არა კონკრეტულად რომელიმე სახის საქონელი, არამედ დასაბეგრი ოპერაცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაბეგრი ოპერაციებია პირის მიერ საქონლის (სამუშაო, მომსახურება) მიწოდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტში, მართალია, არ იყო მითითებული, მაგრამ იგულისხმებოდა შემდგომში აღნიშნულ მუხლში შეტანილი დამატება, რომ დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებდა იმ საქონლის (სამუშაო, მომსახურება) საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე (სამუშაო, მომსახურება) გადახდილ დღგ-ზე, რომლის მიწოდებაც გათავისუფლებული იყო დღგ-სგან, მიუხედავად იმისა, გათვალისწინებული იყო თუ არა მისი შემდგომი მიწოდება. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იზიარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის პოზიციას და მიაჩნია, რომ აღნიშნული დამატებით მოხდა საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტში მოცემული ნორმის დაზუსტება და არა მასში ცვლილების შეტანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ, ვინაიდან საქონლის მიწოდება, როგორც დასაბეგრი ოპერაცია, გათავისუფლებულია დღგ-თი დაბეგვრისგან, ხოლო კასატორმა გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის საფუძვლის – დასაბეგრი საგნის – საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე გადახდილი დღგ-ს ჩათვლა, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოახდინა არასწორად, საგადასახადო ორგანომ სწორად გაუუქმა კასატორს უკანონოდ განხორციელებული ჩათვლა და 2001 წლის 28 სექტემბრის საგადასახადო შემოწმების აქტით, სწორად დაარიცხა შესაბამისი თანხა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში (გასაჩივრებული აქტის შედგენის დროს მოქმედი რედაქციით), რომლის მიხედვითაც, დღგ-გან გათავისუფლებული იყო უძრავი ქონების მიწოდება, გარდა ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობისა, უძრავი ქონების მიწოდებასთან ერთად, იგულისხმებოდა უძრავ ქონებაზე გარკვეული სამუშაოების შესრულებაც, ანუ დღგ-გან გათავისუფლებული საქონლის წარმოებაც, რადგან ისეთი ოპერაცია, როგორც იყო შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ზრდიდა აღნიშნული ნაგებობის თვითღირებულებას და, შესაბამისად, ფართო გაგებით წარმოადგენდა უძრავი ქონების წარმოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „..... -ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.